მატჩი სტუმრად

”ტორპედო” (მოსკოვი) – ”დინამო” (თბილისი) 1:0 (1:0).

მოსკოვი. ”ტორპედოს” სტადიონი. 28 ოქტომბერი.

”ტორპედო”: ჩანოვი, სოლოვიოვი, ჟუპიკოვი, შავეიკო, გოსტენინი, პოლუკაროვი, პეტრაკოვი, სუსლოპაროვი, დოზმოროვო, პეტრენკო (პრიგოდა), კობზევი (ვასილიევი).

”დინამო”: აბუსერიძე, კერესელიძე (ბარათაშვილი), ჩივაძე, უკლება, ჩიქოვანი, კაკილაშვილი, სვანაძე, კოპალეიშვილი (შენგელია), გუცაევი, ცაავა, ჟვანია.

მსაჯი: რ. რაგიმოვი (ბაქო).

გააფრთხილეს კოპალეიშვილი.

დუბლიორები - 1:4.

პირველი 10 წუთის განმავლობაში დინამოელებს სრული უპირატესობა ეპყრათ. ისინი უტევდნენ სწრაფად, ხშირად, მასპინძლები ძლივს ახერხებდნენ მეტოქის იერიშების მოგერიებას, მაგრამ მე-11 წუთზე ტორპედოელებმა საპასუხო იერიში განავითარეს და მაშინვე მიაღწიეს წარმატებას: ბურთი აბუსერიძის კარში გაიტანა კობზევმა.

შემდგომში თამაში კვლავ მაღალ ტემპში, საინტერესოდ მიმდინარეობდა, მაგრამ დინამოელებს პირვანდელი უპირატესობა აღარ ჰქონდათ, გარდა ამისა, შეტევის დასასრულს ისინი ვერ ქმნიდნენ აშკარა სახიფათო მომენტებს, ”ტორპედოს” მცველები წარმატებით უმკლავდებოდნენ მეტოქე თავდამსხმელებს. თბილისელებს, არსებითად, ერთხელ შეეძლოთ ბურთის გატანა, როცა კოპალეიშვილის დარტყმა ძელს მოხვდა.

დაახლოებით ასევე მიმდინარეობდა თამაში შესვენების შემდეგ. დინამოელები ბევრს ცდილობდნენ, უტევდნენ, მაგრამ, მეტოქის დაცვა მათთვის დაუძლეველი აღმოჩნდა. საქმეს ვერ უშველა იმანაც, რომ შუა ტაიმში თბილისელებმა ორი თავდამსხმელი შემოიყვანეს მინდორზე. მე-11 წუთზე გაშვებულ გოლს სტუმრებმა ვერაფერი მოუხერხეს და კვლავ, უკვე მეთხუთმეტედ მიმდინარე ჩემპიონატში, დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

”ლელო”, 30 ოქტომბერი, 1983 წ.